პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 19 (10716) | ოთხშაბათი, 23 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ომსკის ოლქს ლენინის ორდენი გადაეცა

ომსკი, 18 იანვარი. (საქდესი). საღამოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების, სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა და ტრანსპორტის ასობით მოწინავენი შეიკრიბნენ მოლოტოვის რაიონის კულტურის სასახლეში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტისა და ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ომსკის ოლქისათვის ლენინის ორდენის გადაცემას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ამხანაგებო!

ვესწრები რა ამ საზეიმო კრებას, თქვენთან ერთად განვიცდი დიდი კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობას იმის გამო, რომ ომსკის ოლქი დაჯილდოებულია და დღეს გადაეცემა მას ლენინის ორდენი. (ტაში).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ომსკის ოლქი ლენინის ორდენით დააჯილდოვა თვალსაჩინო მიღწევებისათვის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში, დიდი წარმატებებისათვის მარცვლეულის წარმოების გადიდებასა და იმ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში, რომლებიც თქვენმა ოლქმა იკისრა 1956 წელს სახელმწიფოსათვის 110 მილიონი ფუთი პურის ჩაბარების საქმეში.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით სულით და გულით მოგილოცოთ თქვენ და ოლქის ყველა მშრომელს ეს დიდი და დამსახურებული ჯილდო. (მქუხარე ტაში).

ომსკის ოლქის მშრომელებისათვის ამ მნიშვნელოვან დღეს ნება მიბოძეთ აგრეთვე გადავცე ჩვენი მხურვალე მილოცვა და კეთილი სურვილები ყველა ამხანაგს, რომლებსაც საბჭოთა მთავრობამ ყამირი მიწების ათვისებასა და მარცვლეულის წარმოების გადიდებაში დამსახურებისათვის მიანიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. (ტაში).

ამხანაგებო! გასულმა 1956 წელმა საბჭოთა ხალხს ცოტა სასიხარულო და სასიამოვნო შედეგი როდი მოუტანა. ეს იყო წელიწადი საბჭოთა ხალხის მთაგონებული გმირული შრომისა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ეს წელი იყო ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის წელი. მრეწველობამ შეასრულა თავისი ძირითადი გეგმები და მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს ტექნიკური პროგრესისა და წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში. სოციალისტური სოფლის მეურნეობა მტკიცედ დაადგა საწარმოო ძალების განვითარებაში მკვეთრი აღმავლობის გზას. პარტიისა და მთავრობის დიდმა ღონისძიებებმა, ახალი ტექნიკით სოფლის მეურნეობის შემდგომი აღჭურვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გადიდების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაგეგმვის ახალი წესის შემოღების საქმეში და კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა თავდადებულმა შრომამ კარგი შედეგები გამოიღო.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს რძის, ხორცის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, სელის, კარტოფილის წარმოება. ამასთან უნდა აღინიშნოს სოფლის მშრომელთა დიდი მუშაობა რძის წარმოების გასადიდებლად. მარტო ერთ წელიწადში საერთო წველადობა კოლმეურნეობებში გაიზარდა 32 პროცენტით, ხოლო 1953 წელთან შედარებით — თითქმის ერთიორად.

ამის შედეგად გასულ წელს სახელმწიფომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მიიღო 3,8 მილიონი ტონით ანუ 28 პროცენტით მეტი რძე, ვიდრე 1955 წელს, ხოლო ერბო-კარაქის წარმოება უკანასკნელ სამ წელიწადში გადიდდა 45 პროცენტით.

განსაკუთრებით მკვეთრად გაიზარდა მარცვლეულის წარმოება. უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შესამჩნევად გაზარდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. ამასთან ერთად მარცვლეულის წარმოების გადიდებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას.

ამხანაგებო! ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის იდეები მუდამ აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა ხალხს საგმირო საქმეებისათვის ბრძოლასა და შრომაში. დიდი იდეები წარმოშობენ მასების დიდ ინიციატივასა და მძლავრ შემოქმედებითს ენერგიას.

როგორც ცნობილია, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ამ რამდენიმე ხნის წინათ დასახეს ამოცანა — მოხნულიყო ციმბირის, ყაზახეთის, ურალისა და ვოლგისპირეთის რაიონებში 28-30 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები. ეს ბრძნული და შორსმჭვრეტელი გადაწყვეტილება იყო, მახლობელი და გასაგები მთელი ხალხისათვის, და ამიტომ მას მხურვალედ გამოეხმაურა ყველა საბჭოთა ადამიანი და იგი საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა.

კოლმეურნეებთან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან ერთად ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამრეწველო საწარმოთა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა. ეს გადაიქცა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირისა და მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად.

სახელოვანი საბჭოთა ინტელიგენცია და უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მეცნიერები აგრეთვე მთელი ძალებით უწყობდნენ ხელს ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას.

მადლობის გულთბილი სიტყვები დაიმსახურა აგრეთვე ჩვენმა შესანიშნავმა ახალგაზრდობამ და მისმა წინამძღოლმა — კომკავშირმა. მან თავისი გმირული შრომით სასახელო ფურცელი ჩაწერა ყამირი მიწების ათვისებისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლის მატიანეში. კომკავშირმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა თავი კომუნისტური პარტიის გულისხმიერ, ერთგულ და ღირსეულ თანაშემწედ და იგი დამსახურებულად დაჯილდოებულია ლენინის მესამე ორდენით. (ტაში).

მთელი ეს საზოგადოებრივი ძალები კომუნისტურმა პარტიამ შეაერთა და აღაფრთოვანა დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანის გადასაჭრელად. სამ წელიწადში მოიხნა 35,5 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები. ამრიგად, პარტიის მიერ დასახული ამოცანა ბრწყინვალედ გადაიჭრა. (ტაში). ამასთან უნდა ითქვას, ამხანაგებო, ეს ისეთი ნათესი ფართობია, რომელიც აღემატება ევროპის 9 სახელმწიფოს — საფრანგეთის, იტალიის, დასავლეთ გერმანიის, ავსტრიის, ბელგიის, დანიის, ჰოლანდიის, ესპანეთისა და შვეციის მარცვლეული კულტურების ნათეს ფართობს ერთად. (ტაში).

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, გაადიდეს რა ესოდენ მნიშვნელოვნად ნათესი ფართობები და მოიყვანეს რა შარშან კარგი მოსავალი, მკვეთრად გაადიდეს მარცვლეულის საერთო მოსავალი, რამაც თავის მხრივ საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას დაემზადებინა 1 მილიარდზე მეტი ფუთით მეტი პური, ვიდრე ოდესმე წინათ. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების იდეა ნამდვილად დიდი იდეაა.

ამხანაგებო! უკანასკნელ წლებში ომსკის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ და საბჭოთა ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს. მათ შეძლეს დარაზმათ ოლქის მთელი საზოგადოებრიობა პარტიის მიერ დასახული ამოცანების — სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების შესასრულებლად. ოლქის პარტიული ორგანიზაცია და ყველა მშრომელი სამართლიანად ამაყობენ თავიანთი დიდი წვლილით ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანის გადაჭრაში. ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავდაპირველი მონასახები და მოხნეს ერთ მილიონზე მეტი ჰექტარი ყამირი მიწები, რის შედეგადაც ნათესი ფართობები თითქმის 40 პროცენტით გადიდდა.

შარშან ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ახალი დიდი წარმატება მოიპოვეს. მათ ცოტა შრომა როდი დახარჯეს და კარგი მოსავალი მოიყვანეს, გაცილებით უფრო ორგანიზებულად, ვიდრე წინათ, დაამთავრეს მოსავლის აღება და ერთიორად გაადიდეს მარცვლეულის საერთო მოსავალი 1953 წელთან შედარებით. სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც გაჩაღდა ციმბირისა და ყაზახეთის ყამირის ოლქებს შორის, ომსკის ოლქმა იკისრა დიდი ვალდებულება — ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის 110 მილიონი ფუთი პური და პირნათლად შეასრულა სამშობლოს წინაშე თავისი ბოლშევიკური სიტყვა. (მქუხარე ტაში). სახელმწიფომ ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მიიღო პური, უმთავრესად ციმბირის ხორბალი, 43 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1954 წელს და სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1953 წელს.

ოლქში მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება ზრდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას, განამტკიცებს მათს საზოგადოებრივ მეურნეობას, ადიდებს კოლმეურნეობათა ნატურალურ და ფულად შემოსავალს და აუმჯობესებს კოლმეურნეთა მატერიალურ კეთილდღეობას.

ამხანაგებო, მოპოვებულია უდავოდ შესანიშნავი გამარჯვება! ეს სერიოზული წვლილია ჩვენი ხალხის ბრძოლაში პარტიის XX ყრილობის იმ ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომლებიც ეხება უახლოეს წლებში პურის წარმოების აყვანას 11 მილიარდ ფუთამდე. თქვენი წარმატებანი ახარებენ ყველა საბჭოთა ადამიანს. დიდება თქვენ, ციმბირელო მიწის მუშებო! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! ომსკის ოლქის მშრომელთა წარმატებანი სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე მრეწველობის განვითარებასა და კულტურულ მშენებლობაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავიხსენებთ, რა იყო ეს მხარე ახლო წარსულში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვლადიმერ ილიას-ძე მწუხარებით ამბობდა:

„შეხედეთ რუსეთის სფსრ რუკას. ვოლოგდის ჩრდილოეთით, დონის როსტოვისა და სარატოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორენბურგისა და ომსკის სამხრეთით, ტომსკის ჩრდილოეთით გადაჭიმულია თვალუწვდენი სივრცეები, რომლებზეც დაეტეოდა რამდენიმე ათეული დიდი კულტურული სახელმწიფო და მთელ ამ სივრცეებზე გამეფებულია პატრიარქალობა, ნახევრადველურობა და ნამდვილი ველურობა".

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ათვისებულია ციმბირის ბევრი ბუნებრივი სიმდიდრე, აშენდა ბევრი შახტი და მაღარო, აიგო ბრძმედები, დიდი მანქანათმშენებელი ქარხნები და ფაბრიკები. მე გუშინ მოვახერხე ვყოფილიყავი რამდენიმე თქვენს ქარხანაში. ისინი არაფრით არ განსხვავდებიან ჩვენი ქვეყნის ისეთი დიდი ინდუსტრიული ცენტრების საწარმოებისაგან, როგორიც მოსკოვი და ლენინგრადი არიან. ამ ქარხნებში შრომობს ათასობით მუშა და მოსამსახურე. ციმბირის ქალაქებში შექმნილია ასობით ტექნიკუმი, ბევრი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რამაც ცოდნის ფართო გზა გაუხსნა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის შვილებს. მარტო ომსკის ოლქის სასწავლებლებში სწავლობს 250 ათასზე მეტი კაცი.

ახლა ყველამ იცის, თუ როგორ გარდაიქმნა ჩვენი სამშობლოს ეს საუცხოო მხარე. ციმბირის მიწის ვეებერთელა სივრცეებზე მოთავსებულან ნამდვილად კულტურული ოლქები, რომლებსაც აქვთ განვითარებული მრეწველობა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. საკმარისია ითქვას, რომ შარშან ციმბირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მუშაობდა 200 ათასი ტრაქტორი და 70 ათასზე მეტი კომბაინი.

ომსკის ოლქი ახლა ჩვენი ქვეყნის მსხვილი ეკონომიური და კულტურული რაიონი გახდა. ოლქის სამრეწველო საწარმოთა საერთო პროდუქციის მოცულობამ შარშან დაახლოებით 6 მილიარდი მანეთი შეადგინა. თვალწინ იცვლება ეს შესანიშნავი მხარე. სულ უფრო მატულობს ჩვენი სახელოვანი სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების უდიდესი წყაროები. ყველაფერი ეს, ამხანაგებო, გაკეთებულია საბჭოთა ადამიანების—ნამდვილი გმირების და ახალი ცხოვრების შემოქმედთა ხელით. ეს გაკეთებულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში, სულ 39 წელიწადში. ადამიანის ცხოვრებაში ეს ასაკი, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდია, მაგრამ საზოგადოების ისტორიისათვის, ასეთი გარდაქმნებისათვის ეს ვადა დიდი როდია.

და თუ საბჭოთა კავშირმა ისტორიულად მოკლე ვადაში მიაღწია ასეთ

(დასასრული მე-2 გვერდზე)

განვახორციელოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და პარტიული კონფერენციების გადაწყვეტილებანი

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები. საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კრებებმა და კონფერენციებმა ჩაიარა გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით. ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობს, რომ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა კომუნისტების აქტივობის უმაგალითო ზრდა, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება და მათი რიგების შემდგომი განმტკიცება გამოიწვია.

კომუნისტთა კრებების მონაწილენი, კონფერენციების დელეგატები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ პარტიული ორგანიზაციები დაუცხრომლად შრომობენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. პარტიის რაიკომები ახლა უფრო მეტ ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, შემდგომ სრულყოფენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობას. მაგრამ ამასთან ერთად საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე კომუნისტები მოურიდებლად, ნამდვილი ბოლშევიკური პირდაპირობით აკრიტიკებდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, სახავდნენ პრაქტიკულ წინადადებებსა და ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებისათვის, განსაზღვრავდნენ პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზებს.

პარტიული ორგანოების ახლად არჩეული შემადგენლობა მოწოდებულია გულისხმიერად დაუგდოს ყური კომუნისტთა ხმას, მათ კრიტიკულ გამოსვლებს, ყურადღებით შეისწავლოს ყველა საქმიანი შენიშვნა და წინადადება, მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებების, კონფერენციების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კომუნისტთა საქმიანი შენიშვნებისა და წინადადებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და თავისი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ამჟამად პარტბიუროს წევრები ყურადღებით სწავლობენ კომუნისტთა ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას, იღებენ ზომებს ამ შენიშვნებისა და წინადადებების სწრაფად განხორციელებისათვის. პარტბიურო ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, ეხმარება მათ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების სწორად განხორციელებაში, კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების გაუმჯობესებაში.

გორის რაიონის პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე კომუნისტებმა გააკეთეს ბევრი ძვირფასი შენიშვნა, დასახეს მრავალი საქმიანი წინადადება და ღონისძიება, რომლებიც მებაღეობის მკვეთრი განვითარებისაკენ, საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებისა და პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული. ამას წინათ პარტიის გორის რაიკომის ბიურომ განიხილა კომუნისტთა საქმიანი შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების საკითხი და რაიონული კომიტეტის განყოფილებებს, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს დაავალა გააძლიერონ ბრძოლა საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ კომუნისტთა არც ერთი საქმიანი შენიშვნა და წინადადება განუხორციელებელი არ დარჩეს. ეს კიდევ უფრო გაზრდის პარტიული მასების აქტივობას, ხელს შეუწყობს კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებას. მაგრამ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგება-არჩევნებიდან საკმაო დრომ განვლო, ჯერ კიდევ არ შესდგომიან საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტების მიერ გაკეთებული საქმიანი შენიშვნების შესწავლას, ანალიზი არ გაუკეთებიათ კრიტიკული გამოსვლებისათვის, აქამდე არ უზრუნიათ მიღებულ ღონისძიებათა შესრულებისათვის.

მაგალითისათვის დავასახელებთ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას. ორ თვეზე მეტმა განვლო, რაც აქ საანგარიშო-საარჩევნო კრება გაიმართა. აღნიშნეს რა მოპოვებული წარმატებანი, კამათის მონაწილეებმა ულმობლად გააკრიტიკეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები ჭიანურდება, ხეხილის ბაღები და ვენახები დაუმუშავებელია, მერგოლური გ. კოკრაშვილი მოუქნელად ხელმძღვანელობს ამ საქმეს, — განაცხადა კომუნისტმა მ. მაისურაძემ. კომუნისტმა ა. ლობჟანიძემ ილაპარაკა აგიტკოლექტივის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე, კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების ნაკლოვანებებზე. მაგრამ ახლად არჩეული პარტბიურო არათუ კომუნისტთა კრიტიკული გამოსვლების, მათ მიერ წამოყენებული საქმიანი წინადადებების შესწავლას არ შესდგომია, არამედ უკანასკნელ დრომდე პარტიული კრებაც არ მოუწვევია. პარტიის ლაგოდეხის რაიკომის ინსტრუქტორი გ. ხუციშვილი ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ რამდენჯერმე იყო ამ პარტიულ ორგანიზაციაში, მაგრამ კომუნისტთა საქმიანი შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელებისათვის ზრუნვა არც მას გახსენებია. ასეთ პირობებში გასაკვირველი როდია, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ პარტბიურომ კიდევ უფრო მოადუნა მუშაობა.

ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ეს მაგალითი გამონაკლისი როდია. შეიძლება დავასახელოთ რესპუბლიკის ბევრი რაიონის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები, სადაც აქამდე არ გაუჩაღებიათ ბრძოლა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

პარტია გვასწავლის, რომ მას შემდეგ, რაც მიღებულია სწორი გადაწყვეტილება, საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზატორულ მუშაობაზე, იმაზე, თუ როგორ დავრაზმავთ კომუნისტებს, მშრომელთა ფართო მასებს დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. ორგანიზატორული მუშაობა განუყრელად არის დაკავშირებული შესრულების შემოწმებასთან. სწორად და უნარიანად დაყენებული შესრულების შემოწმება მუშაკებს ზრდის მაღალი მომთხოვნელობის სულისკვეთებით, უძლიერებს მათ მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას, ხელს უწყობს პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებას.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და პარტიული კონფერენციების გადაწყვეტილებანი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო პროგრამაა. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოწოდებული არიან კომუნისტთა მთელი ძალები დარაზმონ საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და პარტიულ კონფერენციებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება, პარტიის XX ყრილობის ისტორიული დადგენილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

ახალი ჟურნალი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხები"

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი წელს იწყებს ახალი ჟურნალის გამოშვებას „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის საკითხები". ჟურნალის მთავარი ამოცანაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, განსაკუთრებით ოქტომბრისშემდგომი პერიოდის ისტორიის საკითხთა მეცნიერული დამუშავება, მასწავლებლებისა და პროპაგანდისტებისათვის დახმარების გაწევა უმაღლეს სასწავლებლებსა და პარტიული განათლების სისტემაში პარტიის ისტორიის შესწავლასა და სწავლებაში, პარტიის ისტორიის პრობლემებზე გამოსული ლიტერატურის რეცენზირება, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიის გაშუქება.

ჟურნალის ფურცლებზე სისტემატურად გამოქვეყნდება ისტორიულ-პარტიული ხასიათის ახალი დოკუმენტალური მასალები.

ჟურნალი წელიწადში ექვსჯერ გამოვა.

(საქდესი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კ. ე. ვოროშილოვის მომავალი გამგზავრებისათვის

საბჭოთა კავშირში ჩინეთის მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ამხ. ჯოუ ენ-ლაიმ 8 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ამხ. მაო ძე-დუნის შემდეგი წერილი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

პატივცემულო ამხანაგო კ. ე. ვოროშილოვ!

ნება მიბოძეთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინელი ხალხის სახელით სულით და გულით მოგიწვიოთ თქვენ, პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარევ, ჩვენს ქვეყანაში.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ჩვენს ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და დიადი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

თუ თქვენ თანახმა ხართ, გთხოვთ გვაცნობოთ თარიღი, რომელიც მოსახერხებელი იქნება თქვენი ჩამოსვლისათვის.

მე და მთელი ჩინელი ხალხი დიდი სიხარულით მოველით თქვენს ჩამოსვლას.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა ჩემი დიდი პატივისცემა თქვენდამი.

მაო ძე-დუნი
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე.

1957 წლის 6 იანვარი.

ამხანაგმა ვოროშილოვმა შემდეგი პასუხი გაგზავნა ამხანაგ მაო ძე-დუნის წერილზე:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

პატივცემულო ამხანაგო მაო ძე-დუნ!

ნება მიბოძეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და პირადად ჩემი სახელით გულითადი მადლობა გიძღვნათ თქვენი თავაზიანი მიწვევისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. მადლობის გრძნობით ვიღებ თქვენს მიწვევას და მზად ვარ ვესტუმრო მოძმე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 1957 წლის 15 აპრილიდან 5 მაისამდე, თუ ეს დრო მოსახერხებელი იქნება თქვენთვის.

გულწრფელი სალამით

კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1957 წლის 18 იანვარი.

(საქდესი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული გამოცემის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი იწყებს მზადებას ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული გამოცემისათვის 55 ტომად. ამ გამოცემის პირველი ტომები გამოვა 1957 წლის დამლევს; მთელი გამოცემა დამთავრდება 1963 წელს.

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინის თხზულებათა პირველი გამოცემა შედგებოდა 20 ტომისაგან, მეორე-მესამე — 30 ტომისაგან, მეოთხე გამოცემა, რომელიც 35 ტომისაგან შედგება, ყველაზე ფართოდ გავრცელდა: თვითეული ტომის ტირაჟი 800 ათას ცალს აღემატება. იგი ითარგმნა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა ენებზე.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრულ გამოცემაში შევა როგორც დამთავრებული ნაწარმოებნი, ისე მოსამზადებელი მასალები: გეგმები, კონსპექტები, ჩანაწერები და სხვ. ყველა დოკუმენტი განლაგებული იქნება ქრონოლოგიურად. წერილები ცალკე ტომებად გამოიყოფა. თხზულებათა სრული გამოცემის ყველა ტომს ექნება საფუძვლიანი სამეცნიერო-საცნობარო აპარატი შემდეგი შემადგენლობით: საერთო წინასიტყვაობა მთელი გამოცემისათვის, წინასიტყვაობა თვითეული ტომისათვის და მოკლე დახასიათება ისტორიული ვითარებისა, რომელშიც დაიწერა ამა თუ იმ ტომში შესული ნაწარმოებნი, აგრეთვე ვ. ი. ლენინის ამ ნაწარმოებთა ძირითადი იდეების გაშუქება მათს განვითარებაში. მოცემული იქნება აგრეთვე ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის იმ პერიოდის თარიღები, რომელსაც ტომი მოიცავს; მოკლე სტრიქონქვეშა შენიშვნები (უმთავრესად უცხო სიტყვებისა და ტექსტების თარგმანი); შენიშვნები თვითეული ტომის დასასრულს, სახელთა საძიებელი და მოკლე მონაცემები მოხსენიებულ პირთა შესახებ, ტომში ციტირებული და მოხსენიებული ლიტერატურის საძიებელი.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული გამოცემის ტირაჟია 200 ათასი ცალი; გამოცემა გავრცელდება ხელმოწერით.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის ხელისმომწერთა სურვილის დასაკმაყოფილებლად მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი გამოუშვებს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის 5 დამატებითს ტომს. ამ ტომებში შევა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი, რომლებიც დაიბეჭდა მესამე გამოცემაში, მაგრამ არ შესულა მეოთხე გამოცემაში (36-ე ტომი), „წერილები მახლობლებისადმი" (37-ე ტომი), „ფილოსოფიური რვეულები" (38-ე ტომი), „რვეულები იმპერიალიზმის შესახებ" (39-ე ტომი), „რვეულები აგრარული საკითხის შესახებ" (მე-40 ტომი). გარდა ამისა, გამოვა აგრეთვე ცალკე უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტები „ლენინის კრებულებიდან" — სამი წიგნი — იმ მიზნით, რომ მეოთხე გამოცემის ხელისმომწერთ შეეძლოთ მათი შეძენა. ამრიგად, მეოთხე გამოცემის ხელისმომწერნი ფაქტიურად დამატებით მიიღებენ რვა ტომს. წელს გამოვა 36-ე, 37-ე და 38-ე ტომები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზატორისა და ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული გამოცემის გამოშვება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენი პარტიის იდეურ ცხოვრებაში. ლენინის გენიალურ შრომებში შემდგომ განვითარდა მარქსიზმის დიადი მოძღვრება, რომელიც მთელ კაცობრიობას უნათებს დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლის გზას, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზას.

(საქდესი).

ომსკის ოლქს ლენინის ორდენი გადაეცა

(დასასრული)

წარმატებებს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენს სოციალისტურ წყობილებას უდიდესი უპირატესობა აქვს კაპიტალისტური წყობილების წინაშე. აი ამიტომ ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვუთხრათ ბატონ ბურჟუაზიულ კრიტიკოსებს: „დროა მორჩეთ ჩხავილს ჩვენს სოციალისტურ წყობილებაზე. დროა უფრო სლაად შეხედოთ ისტორიულ ფაქტებს და აწონ-დაწონოთ, რომელი სისტემაა უფრო პროგრესული, კაპიტალისტური თუ სოციალისტური?".

რა თქმა უნდა, მათთვის ძნელი გასაგებია ეს. მაგრამ დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანი ხედავს, რომ თვით ისტორიამ დიდი ხანია გამოუტანა განაჩენი ძირმომპალ კაპიტალისტურ სისტემას.

სულ უფრო მეტი ხალხი ერთიანდება და იბრძვის სოციალიზმის დროშით. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა, დიდმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ, რომლებიც საბჭოთა კავშირის მხარდამხარ იცავენ მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს. სოციალისტურ სახელმწიფოთა დიად თანამშრომლობას საფუძვლად უდევს მიზნების ერთობა სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება და ერთობლივი ბრძოლა მშვიდობისა და სოციალისტური პროგრესისათვის.

სოციალისტურ სახელმწიფოთა მეგობრობა დღეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საზომი და ბრძნული ფაქტორია. ეს მეგობრობა დღითიდღე იზრდება და მტკიცდება. გუშინ მოსკოვში დამთავრებულმა მოლაპარაკებამ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყო საბჭოთა და ჩინელი ხალხების დიადი და ურღვევი მეგობრობა. (ტაში).

სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამშრომლობის შექმნის შემდეგ კაპიტალისტური ექსპლოატაციის სისტემას გამოაკლდნენ სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობა აღემატება 900 მილიონ კაცს, გამოაკლდა უდიდესი ბუნებრივი და ნედლეულის რეზერვები. იმპერიალიზმმა დაკარგა თავისი მოგების უმდიდრესი წყაროები. სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამშრომლობა და წარმატებანი უდიდეს გავლენას ახდენენ მშრომელი მასების ბრძოლაზე თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში თავიანთი სოციალური და ეკონომიური უფლებებისათვის, არევოლუციურებენ ამ მასებს.

სოციალისტურ სახელმწიფოთა მიღწევები გახდა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის დაჩქარების ფაქტორი, ყოველივე ეს აბრაზებს და მოსვენებას არ აძლევს ბატონ იმპერიალისტებს. ყოველივე ეს არის იმ სიძულვილის მთავარი წყარო, რომლითაც საერთაშორისო რეაქცია გამსჭვალულია სოციალიზმისადმი, სოციალისტური ქვეყნებისადმი, კომუნისტური და მუშათა მოძრაობისადმი. გააფთრებული ბოროტებით ისინი ცდილობენ დაარღვიონ თავისუფლებისმოყვარე ხალხების მშვიდობიანი შრომა. მიმართავენ გააფთრებულ ცდებს ჩაფუშონ სახელმწიფოებს შორის ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის მოწესრიგების პროცესი. იმპერიალისტებმა მოაწყეს აგრესიული თავდასხმა ეგვიპტელ ხალხზე, აურაცხელი მსხვერპლი და ტანჯვა მოუტანეს მას თავიანთი მისწრაფებით კვლავ დაედგათ მისთვის კოლონიური მონობის უღელი. მაგრამ ახლანდელ დროში არ შეიძლება წარმატება ჰქონდეს რაიმე ცდას შეაჩერონ კოლონიური სისტემის დაშლა. ყველასათვის ცნობილია, თუ რით დამთავრდა ეს სამარცხვინო სამხედრო ავანტიურა. ეგვიპტელი ხალხი და არაბული აღმოსავლეთის ყველა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დროშის გარშემო, ხოლო ინგლისელმა და ფრანგმა კოლონიზატორებმა თავი შეირცხვინეს.

ახლა ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ ახლო და შუა აღმოსავლეთში შეცვალონ თავიანთი პარტნიორები, რომლებმაც იქ მარცხი განიცადეს. სწორედ ამ მიზნით გამოჩნდა ეგრეთწოდებული ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინა. მაგრამ ყველა მათ შეიძლება ვუთხრათ: „ბატონებო, ამაოდ ცდილობთ სხვის სახლში". (გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).

კოლონიალიზმი განწირულია! დამსხვრეულ ხომალდს ზურგის ქარი არ ეშველება!

ამ ბოლო დროს საერთაშორისო რეაქციამ აგრეთვე სცადა გადასულიყო ამჯარა შეტევაზე სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. საერთაშორისო რეაქციის ამ ბნელმა ძალებმა პროვოკაციულად გამოიწვიეს კონტრრევოლუციური ამბოხება უნგრეთში, დაისახეს რა მიზნად დაემხოთ სახალხო ხელისუფლება, დაეღუპათ უნგრეთის მშრომელთა სოციალისტური მონაპოვარნი, დაემყარებინათ იქ ფაშისტური ხელისუფლება და ამით შეექმნათ ახალი ომის კერა ევროპაში. ეს ავანტიურა იმპერიალისტებისა, რომლებიც შორს მიმავალ მიზნებს ისახავდნენ, აგრეთვე სამარცხვინოდ ჩაიფუშა. უნგრელმა ხალხმა რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის დახმარებით მოკლე ვადაში გაანადგურა კონტრრევოლუციის ძალები.

ამხანაგებო! ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო მშვიდობისმოყვარე ძალების მძლავრი ბურჯია; მშვიდობის განმტკიცება მუდამ იყო ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მაღალი მიზანი. ჩვენ მტკიცედ ვილაშქრებთ ყოველგვარი სამხედრო ავანტიურის წინააღმდეგ, ჩვენ არ გვესაჭიროება სხვისი ტერიტორიები. ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ ვიაროთ წინ სოციალიზმის მშენებლობის გზით. ჩვენ გვაქვს დიდად განვითარებული ინდუსტრია, ჩვენ გვაქვს შესანიშნავი საკოლმეურნეო წყობილება, ჩვენ გვაქვს საბჭოთა ხალხის ურყევი ერთიანობა, სსრ კავშირის ყველა ხალხის ძმური მეგობრობა, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ძლევამოსილი კავშირი. ჩვენ გვყავს კომუნისტთა დიდი, ბრძოლებში გამოწრთობილი პარტია, რომელსაც ყველა დაბრკოლებისა და სიძნელის გადალახვით უნარიანად მიჰყავს ჩვენი ხალხი წინ, ლენინური გზით. (ტაში).

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყანა შევიდა ახალ, 1957 წელში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის წელში; ყველგან ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ამ ღირსშესანიშნავი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის.

დამსახურებულად ვაფასებთ რა წარმატებებს, რომლებიც თქვენმა ოლქმა მოიპოვა 1956 წელს სოფლის მეურნეობაში, ჩვენ არ უნდა დავუშვათ ტრაბახი და მით უმეტეს ყოყოჩობა, რადგან კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა როდია სიძნელე და ნაკლი, რომლებიც უნდა გადაილახოს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა გადაწყვიტა დიდი საკითხები და დასახა ამოცანა — გადაჭრით გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა. სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დასახულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის წინაშე პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვაში, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა.

საჭიროა კვლავაც უფრო სრულად გამოვიყენოთ რეზერვები, რომლებიც აქვს ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, და უწინარეს ყოვლისა მარცვლეულის წარმოების შემდგომ გადიდებაში. თქვენ სრული შესაძლებლობა გაქვთ განაგრძოთ ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნა. ასეთი შესაძლებლობა არის, მაგალითად, პოლტავის, ისილ-ყულის, ბოლშერეჩენსკისა და ოლქის მთელ რიგ სხვა რაიონებში. ხოლო მთავარი ამოცანაა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდება.

ადგილზე საქმის მდგომარეობასთან გაცნობა გვიჩვენებს, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ოლქის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ მცირეა. მთელი საქმე ის არის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შემწყნარებლურად ვეკიდებით აგროტექნიკური წესების დარღვევას, ეს კი გადამწყვეტია მოსავლიანობის გადიდებაში. ოლქი შეძლებს ბევრად გაადიდოს მარცვლეულის წარმოება, თუ მოსავლიანობას გაზრდის ისეთ მოწინავე კოლმეურნეობათა დონემდე, როგორიც არის ტარსკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, მარიანოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზა", ისილ-ყულის რაიონის კოლმეურნეობა „მებრძოლი", რომლებიც უკანასკნელ შვიდ წელიწადში ყოველწლიურად იღებენ მარცვლეულის მოსავალს 3-4 ცენტნერით მეტს ჰექტარზე, ვიდრე მათი მეზობლები. საჭიროა გაცილებით მეტი ყურადღება მიექცეს ნიადაგის დამუშავების მძლავრი სისტემის შემოღებას; მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უფრო სერიოზულად უნდა იმუშაონ ამაზე.

მთელი პარტიული ორგანიზაციის, ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა განსაკუთრებული ზრუნვა ესაჭიროება მეცხოველეობის შემდგომ განვითარებასა და აღმავლობას, ხორცისა და რძის წარმოების გადიდებას, მით უმეტეს, რომ ამ საქმეში ოლქს არსებითი ნაკლოვანებანი აქვს.

მოგვეოლის სერიოზული და მებრძოლური მუშაობა, რათა გადავლახოთ მეცხოველეობის არსებული ჩამორჩენა. ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ ცოტაა პირუტყვი. კოლმეურნეობებში ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მხოლოდ ოთხი ძროხა მოდის და, მიუხედავად ამისა, 1956 წელს არ მომხდარა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის შემდგომი გადიდება, ხოლო ცხვრისა და ღორის სულადობა კიდევაც შემცირდა. უნდა აღინიშნოს მეცხოველეობის ძალიან ნელი განვითარება ახლად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობებში. ოლქში ჯერ კიდევ არის ისეთი საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც არა ჰყავთ არც ღორი, არც ფრინველი.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის წარმატებით აღმავლობას ხელს უშლის მისი გამოლის ძალიან დაბალი კულტურა. მოწინავე მეცხოველეთა და მეცნიერების მიღწევები სუსტად ინერგება.

ახლა, როცა ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სერიოზული ნაბიჯი გადადგეს მარცვლეულის წარმოების გადიდებაში, არის ყველა შესაძლებლობა გადაილახოს მეცხოველეობის ჩამორჩენა, რადგან მარცვლეული მეურნეობის ზრდა არასოდეს არ ეწინააღმდეგებოდა მეცხოველეობას, არამედ, პირიქით, მუდამ უწყობდა ხელს მის განვითარებას.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაადიდეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პროდუქტიულობა და თვითეულ ძროხაზე მიიღეს 1.802 კილოგრამი რძე. მაშასადამე, თქვენ უკვე გაქვთ კარგი გამოცდილება ამ საქმეში. თუ სერიოზულ ყურადღებას მიაქცევთ სიმინდის თესვასა და კარგი მოსავლის მოყვანას და საკმაო რაოდენობით ჩადებთ სიმინდის სილოსს, ეჭვი არ არის, თქვენ მიიღებთ თვითეულ ძროხაზე სამი ათას და მეტ კილოგრამ რძეს. ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ სოფლის მშრომელებს გახადონ 1957 წელი გარდატეხის წელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარებაში. ეს შესაძლებელს გახდის კიდევ უფრო ამაღლდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, გაუმჯობესდეს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშათა მატერიალური მდგომარეობა და გაცილებით უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ორდენოსანი ომსკის ოლქის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურებიან პარტიისა და მთავრობის მოწოდებას. (მქუხარე ტაში). ყველამ იცის, რომ ციმბირელები თავმდაბალი, მაგრამ ძლიერი, გაბედული და შრომისმოყვარე ადამიანები არიან. ისინი შეძლებენ იბრძოლონ თავიანთი მხარისათვის და ღირსეულად იბრძოლებენ მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ გისურვოთ ახალი შრომითი გამარჯვებანი ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი დიდი სამშობლოს სასახელოდ! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ორდენოსანი ომსკის ოლქის სახელოვან მშრომელებს! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს! (მქუხარე ტაში. შეძახილები: გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს მის ცენტრალურ კომიტეტს!).

* * *

ამხ. ბრეჟნევი კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ტექსტს იმის შესახებ, რომ ომსკის ოლქის მშრომელთა თვალსაჩინო მიღწევების გამო ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების, მარცვლეულის წარმოების გადიდების საქმეში და 1956 წელს სახელმწიფოსათვის 110 მილიონი ფუთი პურის ჩაბარების გამო ომსკის ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა გადასცა ლენინის ორდენი. ორდენი მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ომსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. პ. კოლუშჩინსკიმ და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ე. დემიდენკომ.

ოლქის მშრომელთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. კოლუშჩინსკიმ. მან პირობა მისცა პარტიასა და მთავრობას, რომ ოლქის მშრომელები არ დაზოგავენ ძალღონესა და შემოქმედებითს ენერგიას, რათა ღირსეულად გაამართლონ მათი შრომის ესოდენ მაღალი შეფასება და წარმატებით შეასრულონ ოლქისათვის დასახული ამოცანები.

ამხ. ბრეჟნევმა ამხანაგების ჯგუფს აგრეთვე გადასცა სოციალისტური შრომის გმირის ოქროს მედლები და ლენინის ორდენები ოლქის ხელმძღვანელ მუშაკებს.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან სოციალისტური შრომის გმირები: კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გალინიკი, სელივანოვის მტს-ის კომბაინერი ამხ. პეტროვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რუსკაია პოლიანის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. სკიდსკი, ქალაქის მუშათა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები, მეცნიერები. ისინი სულით და გულით უხდიან მადლობას პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის. ომსკის ოლქის მშრომელებს მიესალმნენ ყაზახეთის სს რესპუბლიკის, ნოვოსიბირსკისა და სხვა ოლქების მიწის მუშაკთა წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მიიღეს ტექსტი მისასალმებელი წერილისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

* * *

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამავე დღეს ეწვია საბჭოთა მეურნეობა „ომსკის".

ალტაის მხარეს ლენინის ორდენი გადაეცა

ბარნაული, 19 იანვარი. (საკორ.). დღეს გაიმართა მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ალტაის მხარისათვის ლენინის ორდენის გადაცემას.

პრეზიდიუმის მაგიდასთან მიდიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ი. ბელიაევი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანი კ. გ. პისინი, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. ვ. შევჩენკო, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების წარჩინებული მშრომელები, მექანიზატორები, ალტაის ახალმოსახლეები, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, [illegible] ლენი გულთბილად ხვდებიან.

ს. ვ. [illegible] სიტყვით [illegible] სიტყვას აძლევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგენელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. ი. ბელიაევს.

ამხანაგ ნ. ი. ბელიაევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

მე წილად მხვდა დიდი პატივი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით სამხარეო საბჭოს სესიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის ამ საზეიმო გაერთიანებულ სხდომაზე გადავცე ალტაის მხარეს ლენინის ორდენი. (ტაში).

ალტაის მხარემ შესანიშნავ შედეგებს მიაღწია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებაში. კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, მეცნიერებმა, პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებმა, ჩვენმა სახელოვანმა ახალგაზრდობამ დაძაბული შრომით მოიპოვეს სამშობლოს მადლობა და მაღალი ჯილდო მხარისათვის. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში თვალსაჩინო წარმატებებისათვის, 1956 წელს მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის 280 მილიონი ფუთი პურის ჩაბარებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა აგრეთვე ალტაის 12 ათასზე მეტი მოწინავე ადამიანი, ხოლო 18 ყველაზე გამოჩენილ მოწინავეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. (ტაში).

ნება მიბოძეთ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით სულით და გულით მხურვალედ მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით ალტაის მხარის ყველა მშრომელს დიდი წარმატებანი, რომლებიც მოიპოვეთ პურისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში, მოგილოცოთ მაღალი ჯილდო თქვენი შრომისათვის. (ტაში).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, გამოიწვიეს მილიონობით მუშის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის მძლავრი აღმავლობა. ჩვენი პარტიის ლენინური პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად 1956 წელს მიღწეულია ახალი დიდი წარმატებანი ჩვენი სახელმწიფოს განვითარებაში.

საბჭოთა ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი გახდა, გაიზარდა მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, როგორც ეს ნათქვამია პარტიისა და მთავრობის ამას წინათ გამოქვეყნებულ მიმართვაში, გასული წელი წარმატებით დაამთავრეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. ჩვენმა ქვეყანამ 1956 წელს მიიღო გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

პურის სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა 1955 წელთან შედარებით 1956 წელს გადიდდა მილიარდი და მეტი ფუთით. მარტო რუსეთის ფედერაციამ სამშობლოს მისცა ორ მილიარდ ფუთზე მეტი მარცვლეული. ეს თითქმის იმდენია, რამდენიც 1953 წელს დამზადდა პური მთელ საბჭოთა კავშირში.

პურის ფრონტზე ასეთი ჭეშმარიტად გრანდიოზული გამარჯვებანი მოპოვებულია უმთავრესად ყამირის ათვისების მეოხებით. მოკლე ვადაში ჩვენს ქვეყანაში ათვისებულია 35,5 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები, რომლებიც ახლა გვაძლევენ დიდძალ იაფ პურს.

მძლავრი ფრონტით, მიწათმოქმედების ისტორიაში უმაგალითო გაქანებით წარმოებდა შეტევა საუკუნეობით ხელუხლებელ ველებზე. სამშობლოს ასეულ ათასობით პატრიოტი, პარტიისა და კომკავშირის წარგზავნილები, რომლებსაც არ აშინებდათ პირველ ხანებში გარდუვალი სიძნელეები, წავიდნენ შორეულ მხარეებში ახალი მიწების ასათვისებლად. დღისით და ღამით მიდიოდნენ აქეთკენ რკინიგზის ეშელონები ტრაქტორებით, კომბაინებით, ავტომანქანებით, საშენი მასალებით. მთელი საბჭოთა ხალხი ეხმარებოდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას. არ გასულა სამი წელიც, და ყაზახეთში, ციმბირში, ურალში, ვოლგისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნა ასობით ახალი საბჭოთა მეურნეობა. განუზომლად გაფართოვდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყანების საზღვრები. და იქ, სადაც ამას წინათ იზრდებოდა ვაციწვერა, ახლა ღივლივებს ხორბალი. ყამირმა ასეზის აანაზღაურა საბჭოთა ადამიანების შრომა, გადამეტებით აანაზღაურა მის ათვისებაზე გაწეული ხარჯები. მთელი მსოფლიო ახლა თვალნათლივ ხედავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის სრულ გამარჯვებას. ყამირი — აი მარცვლეულის წარმოების უმდიდრესი წყარო, აი მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების უტყუარი გზა, რომ მარცვლეულის ყოველწლიური საერთო მოსავალი ავიყვანოთ 11 მილიარდ ფუთამდე.

აღმავლობის გზაზეა ჩვენი საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ჩვენს ქვეყანაში რძის დამზადება 1956 წელს გაიზარდა 3,8 მილიონი ტონით. ჩვენს ქვეყანაში გადიდდა ბამბის, მატყლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება.

ციმბირისა და ალტაის მხარის მშრომელებისათვის სასიხარულო და აღმაფრთოვანებელი ამბები ხდება.

რა იყო ციმბირი მეფის დროს? ეს იყო საშინელი სიღატაკისა და უმეცრების მხარე, კატორღისა და გმინვის მხარე. ახლა საბჭოთა ციმბირი სოციალიზმის გარდამქმნელი ძალის შედეგად ბრწყინავს მძლავრი ელექტროსადგურების შუქით, სუნთქავს თუჯისა და ფოლადის ნადნობებით, აძლევს ჩვენს ქვეყანას ბევრ ქვანახშირს, ბევრ სხვადასხვა და უალრესად სრულყოფილ მანქანას. ციმბირის უსაზღვრო სივრცეებს სხვადასხვა მიმართულებით სერავს რკინიგზების სულ ახალი ლიანდაგები. ციმბირი ამაყობს თავისი ლამაზი ქალაქებით, სოციალისტური მინდვრების მძლავრი ძალით და თავისი შესანიშნავი ადამიანებით.

ციმბირის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, გამოიყენეს რა სახელმწიფოს უდიდესი დახმარება კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განმტკიცებისათვის, ბევრად გააფართოვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ციმბირში მოხნულია 7 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწები. ამ მიწებზე მარტო საგაზაფხულო კულტურები, უმთავრესად ხორბალი, ციმბირის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შარშან დაითესა 6,3 მილიონი ჰექტარი. ციმბირის მშრომელთა სახელოვანი გზა დამსახურებული ჯილდოთი დაგვირგვინდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, ჩვენი ქვეყნის ახალი მსხვილი სანედლეულო ბაზის შექმნისათვის, მარცვლეულის წარმოების სერიოზული გადიდებისა და 1956 წელს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეები, ომსკისა და ნოვოსიბირსკის ოლქები. ციმბირის ათეულათასობით მოწინავე ადამიანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ხოლო განსაკუთრებით წარჩინებულებს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ.

სახელგანთქმული გახდა ალტაის მხარე. საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული მხარემ მოიხვეჭა თავდადებული შრომით ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. ალტაის სახელი კიდევ უფრო გაიზარდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებასთან დაკავშირებით.

მოკლე ვადაში მხარის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა აითვისეს 2.500 ათასზე მეტი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები, მნიშვნელოვნად გაადიდეს ნათესი ფართობები და გააუმჯობესეს მინდვრის სამუშაოთა ხარისხი. ნათესი ფართობების გადიდებისა და მოსავლიანობის ზრდის შედეგად მარცვლეულის საერთო წარმოება მხარეში და მისი ჩაბარება სახელმწიფოსათვის უკანასკნელ სამ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 1953 წელს მარცვლეულის საერთო წარმოება შეადგენდა 106 მილიონ ფუთს, აქედან ხორბლისა — 70 მილიონ ფუთს, 1956 წელს მარცვლეულის საერთო წარმოებამ მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიაღწია 456 მილიონ ფუთს, აქედან ხორბლისა — 386 მილიონ ფუთს.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შემდეგ მარცვლეულის წარმოება მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1956 წელს 1953 წელთან შედარებით გაიზარდა 4,3-ჯერ, ხოლო ხორბლის წარმოება — 5,5-ჯერ.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამ საშუალება მისცა მხარეს 1956 წელს სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა და მიეყიდა 280 მილიონი ფუთი პური, აქედან 238,7 მილიონი ფუთი მთავარი სასურსათო კულტურა — ხორბალი, რაც 9-ჯერ და მეტად აღემატება 1953 წელს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული და მიყიდული პურის რაოდენობას.

მარცვლეულისა და მისი სასაქონლო ნაწილის საერთო წარმოების გადიდებამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად განმტკიცებულიყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, გადიდებულიყო კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, შექმნილიყო უფრო მტკიცე საკვები ბაზა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის.

თუ მხარის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1940 წელს სულ 326 მილიონ მანეთს შეადგენდა, ხოლო 1953 წელს — 598 მილიონ მანეთს, 1956 წელს იგი შეადგენდა სულ ცოტა 2,5 მილიარდ მანეთს, ანუ გაიზარდა ერთიოთხად და მეტად 1953 წელთან შედარებით. ყოველივე ეს, ამხანაგებო, ციმბირის შესანიშნავ ადამიანთა ხელის საქმეა. ციმბირელი გახდა სიმტკიცის, მამაცობის, ძალის სინონიმი, და უკვე არა ციმბირიდან, როგორც ძველ დროში, არამედ ციმბირში მიილტვის ახლა ასეულათასობით ადამიანი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, და, აქ, ციმბირში, ჩამოსვლით პოულობენ ისინი სიცოცხლის სიხარულს, ბედნიერებასა და დიდებას. (ტაში).

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების კეთილსობილურ მუშაობაში, მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღებისა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ბევრმა რაიონმა, მტს-ებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, ბევრმა ადამიანმა. შედარებით მოკლე ვადაში სოფლის მეურნეობის აღმავლობაში შესანიშნავ შედეგებს მიაღწია კიტმანოვის რაიონმა — პარტიის რაიკომის მდივანი ამჟამად სოციალისტური შრომის გმირი ამხ. თევდორე თევდორეს-ძე ზოლოტუხინი. 1954 წლამდე ეს რაიონი მხარეში ჩამორჩენილად მიაჩნდათ მარცვლეულის წარმოების მხრივ. რაიონულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია ნათესი ფართობების და მოსავლიანობის გასადიდებლად. 1954-1956 წლებში რაიონში მოხნულია 27 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები. 1956 წელს 115,9 ათას ჰექტარ ფართობზე მოსავალი მიღებულია საშუალოდ 108 ფუთი თვითეულ ჰექტარზე. სახელმწიფოს ჩაბარდა 9.135 ათასი ფუთი პური. რაიონმა სახელმწიფო გეგმა შეასრულა 189,4 პროცენტით. (ტაში).

ტოპჩიხის მტს-მა, რომელსაც ხელმძღვანელობს ისეთი გამოცდილი მუშაკი, როგორიც არის ამხ. ვასილენკო, ამჟამად სოციალისტური შრომის გმირი, მიაღწია საუკეთესო მაჩვენებლებს, აითვისა 9,5 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები. 1954 წელს მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში 23 ათასი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 117 ფუთი მარცვლეული. 1956 წელს 35 ათას ჰექტარ ფართობზე — 92 ფუთი ჰექტარზე. 5.000 ჰექტარი ფართობის ყამირი მიწების თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 125-140 ფუთი.

კიტმანოვის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი პავლე ივანეს-ძე ნიკოლაევი) მოეწყო ორი წლის წინათ ყამირ მიწებზე, დაუსახლებელ ადგილას. ახალმოსახლეთა ერთსულოვანმა კოლექტივმა გადალახა სიძნელეები და აითვისა 7.600 ჰექტარი ყამირი. 1956 წელს საბჭოთა მეურნეობის ნათესი ფართობი 18 ათას ჰექტარს შეადგენდა. მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მარცვლეული მიღებულია საშუალოდ 107 ფუთი, ხოლო ყამირის თვითეულ ჰექტარზე — 120 ფუთი.

მხარის ფარგლებს გარეთ შორს არის ცნობილი კოსიხის მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი ევდოკია თევდორეს ასული ბაბიჩი. (ტაში). საბჭოთა მეურნეობაში 19 წლის მუშაობის მანძილზე მან თავისი ძროხების ჯგუფისაგან მიიღო ერთი მილიონი კილოგრამი რძე, საშუალოდ თვითეულ ძროხაზე იღებდა 4.800-5.200 კილოგრამს.

ვინ არ იცნობს მხარეში ლოკტის რაიონის კოლმეურნეობას „სტალინის გზა", სადაც თავმჯდომარედ უკვე 16 წელიწადია მუშაობს საკოლმეურნეო სოფლის შესანიშნავი ორგანიზატორი და წინამძღოლი ტატიანა იზოსიმეს ასული ტკაჩოვა. მოწინავე კოლმეურნეობაა! შესანიშნავი კოლმეურნეობაა! კოლმეურნეობამ 1954-1956 წლებში აითვისა 1.845 ჰექტარი ყამირი. მარცვლეული თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 140 ფუთი. ამხ. ტკაჩოვას სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. (ტაში).

ამხ. ბელიაევი ასახელებს ალტაის გამოჩენილ მშრომელებს სოციალისტური შრომის გმირებს ი. ა. შუმაკოვს, ლ. ი. საპუნოვს, ნ. გ. დობშიკს, პ. ფ. ლოპანოვას და სხვებს.

მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უდიდესი დახმარება გაუწიეს ქ. ბარნაულისა და მხარის სხვა ქალაქების საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა,

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ალტაის მხარეს ლენინის ორდენი გადაეცა

(დასასრული)

მოსწავლე ახალგაზრდობამ, რომელმაც პირადი მონაწილეობით კოლმეურნეებთან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებთან ერთად უზრუნველყო მოსავლის დროზე აღება და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულება.

მარცვლეულის წარმოების გადიდებასთან ერთად მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მიაღწიეს აგრეთვე ზოგიერთ წარმატებას შაქრის ჭარხლის, ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

ხორცის დამზადება და შესყიდვა 1954 წელთან შედარებით 61 ათასი ტონიდან გაიზარდა 83 ათას ტონამდე, რძისა — 302 ათასი ტონიდან 429,2 ათას ტონამდე, მატყლისა — 4,8 ათასი ტონიდან 5,9 ათას ტონამდე.

პირუტყვის პროდუქტიულობა კოლმეურნეობებში 1953-1954 სამეურნეო წელთან შედარებით გაიზარდა წველადობაში 1.127 კილოგრამიდან 1.612 კილოგრამამდე, ანუ 485 კილოგრამით, ცხვრის ნაპარსისა — 2,1 კილოგრამიდან 2,4 კილოგრამამდე.

ამჟამად ალტაის მხარე, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში, გახდა მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების უდიდესი მწარმოებელი ჩვენს ქვეყანაში. თავდადებული შრომით თქვენ ღირსეული წვლილი შეგაქვთ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში, ხოლო ეს გამაფხიზლებლად მოქმედებს იმპერიალისტური პროვოკაციებისა და ავანტიურების მოყვარულებზე. (ტაში).

საბჭოთა მთავრობის უცვლელი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მიუხედავად იმპერიალისტური ბანაკი ყოველგვარ ხრიკებს მიმართავს მშვიდობის, პროგრესისა და სოციალიზმის წინააღმდეგ. იმპერიალისტებს აცოფებთ ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის წარმატებანი. მათ აშინებთ ეკონომიური შეჯიბრება ჩვენთან. მათ ესმით, რომ ამ შეჯიბრებაში გარდუვალად გავიმარჯვებთ ჩვენ და რომ სოციალიზმი წლითიწლობით სულ უფრო მიმზიდველი იქნება მსოფლიოს ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანებისათვის. (ტაში).

იმპერიალისტები ცდილობენ შეასუსტონ, გათიშონ სოციალიზმის ბანაკი, ძირი გამოუთხარონ მას, რასაც მოწმობს უნგრეთის ამბები. კონტრრევოლუციური ამბოხება უნგრეთში გულდასმით მოამზადეს და ხელმძღვანელობდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები. მაგრამ იმპერიალისტთა ზრახვები ჩაიფუშა. უნგრეთის ამბები არათუ არ დაგვირგვინდა კონტრრევოლუციის გამარჯვებით, არამედ ამან კიდევ უფრო შეამჭიდროვა სოციალიზმის ბანაკი, დარაზმა პარტიის, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ყურადღება მტრების ხრიკების წინააღმდეგ, სიფხიზლისათვის, სოციალისტური ქვეყნების კიდევ უფრო მეტი ერთიანობისათვის.

საერთაშორისო ვითარებას ახასიათებს აგრეთვე იმპერიალისტური ძალების გაავეთრებული შეტევა ხალხებზე, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ მოიშორეს ან იშორებენ კოლონიური მონობის უღელს. მაგრამ 1956 წელს წარმატება არ მოუტანია იმპერიალისტებისათვის ამ მხრივაც. ეგვიპტის წინააღმდეგ ისრაელის, საფრანგეთის, ინგლისის აგრესიული ავანტიურა, რომლის მიზანი იყო დაეთრგუნათ და სისხლში ჩაეხრჩოთ ახლო აღმოსავლეთის მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, სამარცხვინოდ ჩაიფუშა.

ახლო და შუა აღმოსავლეთის შესახებ ახალი „ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინის“ გამოქვეყნება ნიშნავს, რომ ძველი კოლონიური სახელმწიფოების მაგიერ მათ მიერ დაკარგული პოზიციების ხელში ჩაგდების მიზნით, ნავთობის მონოპოლიებისა და სხვა მონოპოლიების შემოსავლისა და ზემოგების შენარჩუნების მიზნით ახლა გამოდის ყველაზე მძლავრი იმპერიალისტური სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონგრესს მოსთხოვა მისცეს მას რწმუნებები, რომელთა საფუძველზე ამერიკის მთავრობას შეეძლება, როცა მოისურვებს, შეიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები ახლო აღმოსავლეთის ყოველ ქვეყანაში და „დახმარების“ გაწევის სახით გადააქციოს იგი თავის სამხედრო ბაზად. მრავალი მილიონი სახსრები გამოყოფილია იმისათვის, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხებს დაუშაქრონ ეს ახალი მონობა, კოლონიური ბატონობის ეს ახალი ფორმა.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ იმპერიალიზმის მესვეურები უკუღმა ვერ დაატრიალებენ ისტორიის ჩარხს. ისინი ვერ შეაჩერებენ კოლონიური სისტემის დაშლას, მათ არ ძალუძთ შეაჩერონ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების დიდი პროცესი, ძირი გამოუთხარონ სოციალისტური ქვეყნებისა და მუშათა პარტიების ინტერნაციონალურ ერთიანობას. (ტაში).

ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის სიფხიზლის განმტკიცების და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების საფუძველზე იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების ამოცანებს. ომის, ახალი სამხედრო პროვოკაციებისა და ავანტიურების საფრთხე სრულიადაც არ მოსპობილა. მაშასადამე, ახლა ამოცანა ის არის, რომ დროზე გამოვიცნოთ მშვიდობის მტრების ზრახვები და ხრიკები, გავცეთ მათ გამანადგურებელი პასუხი, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, გავუფრთხილდეთ და სრულვყოთ ჩვენი საბჭოთა შეიარაღებული ძალები, ვაწარმოოთ მშრომელთა მასებში განუწყვეტელი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, დავრაზმოთ ისინი მარქსისა და ლენინის უკვდავი იდეების გარშემო, კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელსაც ხალხი მიჰყავს ახალი წარმატებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირი პატიოსნად და კეთილსინდისიერად თანამშრომლობს ყველა ქვეყანასთან, რომლებსაც სურთ ასეთი თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირი მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ცდილობს, რომ ეს ორგანიზაცია ემსახურებოდეს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს. ჩვენ კარგი კეთილმეზობლური ურთიერთობა დავამყარეთ ბევრ სახელმწიფოსთან, მათ შორის ინდოეთთან, ბირმასთან, ავღანეთთან, ინდონეზიასთან, ეგვიპტესთან, სირიასთან. გასული წლის დამლევს აღდგენილ იქნა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა იაპონიასთან, რაც ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის დიდი გამარჯვებაა.

მშვიდობის ყველაზე მტკიცე ბურჯია ჩვენი კავშირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ჩვენი მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

სოციალისტური ქვეყნების ერთიანობას საფუძვლად უდევს მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის მაღალი პრინციპები, სოციალიზმის მშენებელთა მიზნების ერთობა. ამიტომ იგი უძლეველია. იგი კვლავაც განმტკიცდება, განვითარდება, ხალხთა ამ ერთიანობას ეკუთვნის მომავალი!

ამხანაგებო, 1956 წლის დეკემბრის დამლევს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო საკითხები. პლენუმზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული მეურნეობის ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი.

პლენუმმა მოითხოვა, რომ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შედგენის სამუშაოთა დამთავრებისას დავემყაროთ ხუთწლედის მთავარ ამოცანებს, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, — მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ბაზაზე უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მივაღწიოთ საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას, გადავდგათ დიდი ნაბიჯი წინ სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში — ისტორიულად უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

საჭიროა კვლავაც ვიმუშაოთ მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის როგორც ახალი მიწების შემდგომი ათვისების გზით, ისე ძველნახნავ მიწებზე მოსავლიანობის გადიდებით. ალტაის მხარის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია მიწათმოქმედების კულტურა, ირღვევა აგროტექნიკის ძირითადი მოთხოვნები, მინდვრები დანაგვიანებულია სარეველებით. ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესება, თვითეული რაიონის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის კონკრეტული პირობების შესაბამისი მიწათმოქმედების სისტემის შემუშავება და გამოყენება, მოსავლის აღების ვადების შემდგომი შემცირება შესაძლებელს გახდის უახლოეს დროში მნიშვნელოვნად გადიდდეს მარცვლეულის საერთო მოსავალი.

განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის უსწრაფეს აღმავლობას. მეცხოველეობის განვითარება გასულ სამეურნეო წელს საკმაოდ სწრაფი ტემპებით არ წარმოებდა და არ შეესაბამება დასახულ გეგმასა და არსებულ შესაძლებლობებს. სუსტად არის აგრეთვე გამოყენებული ხორცის წარმოების გადიდების არსებული შესაძლებლობანი, განსაკუთრებით მეღორეობის განვითარებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გზით, რის შედეგადაც ალტაის მხარემ 1956 წელს ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის, ხორცის, მატყლის ჩაბარებისა და მიყიდვის ვალდებულებანი.

ჩვენ, ამხანაგებო, თქვენთან ერთად ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ. ვიღებთ რა დამსახურებულ ქებას, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ნაკლოვანებანი, არასოდეს არ უნდა გავუყოჩდეთ, ყოყოჩობა ჩვენი საქმის მტერია. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მიერ დამსახურებული მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი თავბრუს არ დაგახვევთ, არამედ, პირიქით, იგი აღგაფრთოვანებთ, კიდევ უფრო მეტ ძალებსა და ენერგიას შეგმატებთ მხარის შემდგომი განვითარებისათვის, მთელი ბუნებრივი სიმდიდრეების შემდგომი გამოყენებისათვის ბრძოლაში, იმისათვის ბრძოლაში, რომ ეს სიმდიდრეები ჩააყენოთ ჩვენი ხალხის სამსახურში. (ტაში).

წარმატების ამ სურვილებით ნება მიბოძეთ ახლა, ამხანაგებო, გადმოგცეთ ლენინის ორდენი.

(კითხულობს ბრძანებულებას და გადასცემს ლენინის ორდენს).

ამხანაგებო! ალტაის მხარემ მიიღო მაღალი ჯილდო. ნება მიბოძეთ მე, რომელმაც მრავალ წელს ვიმუშავე თქვენთან ერთად, ერთხელ კიდევ მხურვალედ მოგილოცოთ ლენინის ორდენით დაჯილდოება და შესანიშნავი წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მარცვლეულის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის ჩაბარებაში.

დაე ლენინის ორდენი იყოს ალტაის მხარის მშრომელთა სიამაყე! დაე დაუცხრომლად მოგიწოდებდეთ იგი ახალი გამარჯვებებისაკენ, ახალი მიღწევებისაკენ საბჭოთა კავშირის ხალხთა აყვავების საკეთილდღეოდ! (ტაში).

გაუმარჯოს ალტაის მხარის მშრომელებს, რომლებმაც პირნათლად და ღირსეულად იმუშავეს და მოიპოვეს მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი! (ტაში).

გაუმარჯოს ალტაის მხარის მოწინავე ადამიანებს, რომლებსაც მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება, რომლებიც თავდადებული შრომისათვის დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მივყავართ კომუნიზმის მშენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ! (მქუხარე ტაში).

* * *

დამსწრენი მხურვალედ, დიდხანს უკრავენ ტაშს, როცა ნ. ი. ბელიაევი გადასცემს ლენინის ორდენს. მაღალ ჯილდოს იღებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანი კ. გ. პისინი და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს თავმჯდომარე ს. ვ. შევჩენკო.

საპასუხო სიტყვას ამბობს კ. გ. პისინი. ალტაის მხარის ყველა მშრომელის სახელით მან გულითადი და მხურვალე მადლობა უძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას ალტაის მხარის კოლმეურნეთა, მუშათა, ინტელიგენციის შრომის მაღალი შეფასებისათვის.

მან აღუთქვა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ ალტაის მშრომელები მზად არიან ახალი წარმატებები მოიპოვონ სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

შემდეგ გამოვიდნენ პარტიის კიტმანოვოს რაიკომის მდივანი ფ. ფ. ზოლოტუხინი, რომელსაც მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, ზავიალოვოს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „კომუნიზმის გზის“ თავმჯდომარე ამხ. რ. კიიანი, ბელოიარსკის მტს-ის დირექტორი კ. ა. რეუტოვი, უსტ-კალმანკის რაიონის კაბანოვსკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი პ. ფ. ლოპანოვა, ბარნაულის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნის მწყობრავი მ. პ. ბუბნოვი, ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ნამდვილი წევრი მ. ა. ლისავენკო, ნოვოსიბირსკის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლიგაჩევი, კრასნოიარსკის მხარის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. სიროტინი.

სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას ჩეხოსლოვაკიის არქივების დოკუმენტალური მასალები, რომლებიც შენახად არის სსრ კავშირის სახელმწიფო არქივებში. გადასაცემ საარქივო მასალებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისათვის და დიდ ფასეულობას წარმოადგენს ჩეხოსლოვაკიის ისტორიის შესწავლისათვის.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისათვის გადასაცემ საარქივო ფონდებშია კოლექცია დოკუმენტალური მასალებისა ჩეხოსლოვაკიის ისტორიის (1831-1939 წლები) შესახებ, ქალაქ პრაღის საერობო სამმართველოს პრეზიდიუმის და ჩეხოსლოვაკიის სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მასალები.

ამხანაგი ა. ი. მიქოიანი თურქმენეთში ჩავიდა

აშხაბადი, 19 იანვარი. (საკდესი). დღეს მარში თვითმფრინავით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი. ამხანაგ მიქოიანთან ერთად ჩამოვიდნენ თურქმენეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. ბაბაევი, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. სარიევი.

ამხ. ა. ი. მიქოიანის შესახვედრად აეროდრომზე მოვიდა ათეულათასობით მშრომელი. აქ შეიკრიბნენ მარის, ბაირამ-ალის, სტალინის, იოლოტანის და ოლქის სხვა რაიონების ბამბის უხვი მოსავლის წარჩინებული ოსტატები, მეცხოველეები, მექანიზატორები, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მოსწავლეები. აქ მოვიდნენ უდაბნოს წყლის მაგისტრალის — ყარა-ყუმის არხის მშენებლებიც.

ამხანაგმა ა. ი. მიქოიანმა შეხვედრილთ მიმართა მოკლე სიტყვით.

— მე ჩამოვედი თქვენს რესპუბლიკაში, — თქვა ამხანაგმა მიქოიანმა, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით, რათა გადმოგცეთ ლენინის ორდენი თქვენ მიერ მიღწეული წარმატებებისათვის. საბჭოთა მთავრობის სახელით თქვენ და მთელ თურქმენ ხალხს გადმოგცემთ სალამს. სალამს გადავცემ უძველეს ქალაქ მარს ქალაქ მოსკოვისაგან. გისურვებთ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ბამბის უხვი მოსავლის მიღებაში.

ამხანაგ მიქოიანის სიტყვის დამთავრების შემდეგ ქალაქ მარის სკოლების მოსწავლეებმა, რომლებსაც სსრ კავშირის ხალხთა ლამაზი ეროვნული კოსტიუმები ეცვათ, ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს მას.

მთელ გზაზე აეროდრომიდან ქალაქამდე მშრომელები მხურვალედ მიესალმებოდნენ ამხანაგ ა. ი. მიქოიანს.

* * *

აშხაბადი, 20 იანვარი. (საკდესი). დღეს თურქმენეთის დედაქალაქი შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიქოიანს. იგი აქ ჩამოვიდა, რათა გადასცეს ლენინის ორდენი, რომლითაც რესპუბლიკა დაჯილდოებულია მებამბეობის განვითარებაში 1956 წელს მოპოვებული წარმატებებისათვის.

აშხაბადის აეროპორტში შეიკრიბა ათასობით მშრომელი. აქ იყვნენ დეპუტატები თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს [illegible], რომელიც ხვალ გაიხსნება. ბამბის სახელგანთქმული ოსტატები, [illegible] რესპუბლიკებიდან. ამხანაგ ა. ი. მიქოიანის შესახვედრად მოვიდნენ თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ოვეზოვი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები ფ. ა. გრიშაენკოვი, ნ. დურდიევა, რ. ა. ჩარიევი, პარტიის აშხაბადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ტაილიევი, აშხაბადის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ატაევი და სხვა პირები.

ა. ი. მიქოიანს, რომელიც თვითმფრინავიდან გამოვიდა, შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მასთან იყვნენ თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. ბაბაევი და თურქმენეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. სარიევი, რომლებიც ამხანაგ მიქოიანს ახლდნენ მოსკოვიდან მგზავრობაში.

ბავშვებმა სტუმარს ყვავილების თაიგულები მიართვეს. ამხანაგმა მიქოიანმა დამსწრეთ მიმართა მოკლე სიტყვით, რომელმაც არაერთგზის გამოიწვია მხურვალე ტაში.

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის სიტყვა

ამხანაგებო! მე ჩამოვედი საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვიდან თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ აშხაბადში, რათა შევასრულო ჩემთვის საპატიო და სასიამოვნო დავალება ჩვენი საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა — მივულოცო თურქმენეთის რესპუბლიკის მშრომელებს მაღალი, დამსახურებული ჯილდო და გადავცე რესპუბლიკას ლენინის ორდენი. (ტაში).

ამიტომ ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ და თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელს მთავრობის მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ჩვენ გუშინ დილით ამხანაგ ბულგანინთან ერთად თვითმფრინავით „ტუ-104“ მოსკოვიდან გამოვფრინდით და ჩავფრინდით უზბეკეთის ქალაქ კარშში. იქიდან ამხ. ბულგანინი გაემგზავრა სტალინაბადში ასეთივე სასიამოვნო დავალებით, სახელდობრ ტაჯიკეთის რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადასაცემად. (ტაში).

ჩვენ კი ამხანაგებთან ბაბაევთან და სარიევთან ერთად, რომლებთანაც ერთად გამოვფრინდით მოსკოვიდან, გადავწყვიტეთ აშხაბადში მომავალნი, გუშინ შევჩერებულიყავით თურქმენეთის ქალაქ მარში, მივსულიყავით კოლმეურნეობებში, საწარმოებში, და აი დღეს თქვენთან ჩამოვედით.

მე მესამეჯერ ვარ აშხაბადში, მაგრამ ყოველთვის სულ სხვადასხვანაირად. პირველად თურქმენეთში ვიყავი ინგლისის ოკუპაციის მძიმე დღეებში. ვიყავი როგორც პატიმარი. ვიჯექი კრასნოვოდსკში, ყზილ-არვატში, შემდეგ კი ქალაქ აშხაბადში და იქიდან ეტაპის წესით გამგზავნეს უკან ქალაქ ბაქოში. ამიტომ შესაძლებლობა არა მქონდა გავცნობოდი თქვენს ქალაქს და ქალაქი არ მინახავს. მეორეჯერ ვიყავი უკვე 1920 წლის აპრილის დამდეგს ამხანაგ ფრუნზესთან ერთად, როცა ინგლისელი ოკუპანტებისა და თეთრგვარდიელებისაგან განთავისუფლებულ აშხაბადში ჩამოვიდა პირველი მატარებელი ტაშკენტიდან. მაშინაც ვერ შევძელი დამეთვალიერებინა ქალაქი — მივეჩქარებოდა ქალაქ ბაქოში, რათა მეწარმოებინა არალეგალური მუშაობა აზერბაიჯანში რევოლუციის მოსამზადებლად. მესამედ ჩამოსვლისას იმედი მაქვს გავეცნო ქალაქ აშხაბადს.

თუ 36 წლის წინათ რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით თქვენ განთავისუფლდით ინგლისელი ოკუპანტებისა და რუსეთის თეთრგვარდიელების უღლისაგან, ახლა ეგვიპტელმა ხალხმა შეძლო, როგორც გონებამახვილურად თქვა ამხანაგმა ხრუშჩოვმა, კუდი მოეჭრა ინგლისის კოლონიური ლომისათვის და განთავისუფლებულიყო ინგლისის უღლისაგან.

მაშინაც თურქმენეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ თურქმენმა ხალხმა შეძლო კომუნისტების ლენინური პარტიის დახმარებით განთავისუფლებულიყო ეროვნული ჩაგრისაგან, კოლონიალიზმისაგან და საკუთარი მჩაგვრელების — ხანებისა და ბეგების უღლისაგან და დაეწყო თავისუფალი ცხოვრება.

თურქმენეთი ახლა კულტურული და მდიდარი სოციალისტური რესპუბლიკა გახდა.

გაუმარჯოს თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს თურქმენეთის რესპუბლიკისა და ქალაქ აშხაბადის მშრომელებს!

* * *

აეროდრომიდან ამხანაგი მიქოიანი ღია მანქანით ქალაქისაკენ გაემართა. აეროდრომიდან მთელ გზაში თურქმენეთის დედაქალაქის მშრომელები გულითადად მიესალმებოდნენ ამხანაგ მიქოიანს.

ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი პანინოს რაიონში გაემგზავრა

ვორონეჟი, 20 იანვარი. (საკდესი). დღეს დილით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მერგოლურის, სოციალისტური შრომის გმირის აკულინა მიხეილის ასულ ჩერნიხის მიწვევით მატარებლით გაემგზავრა პანინოს რაიონში.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან ერთად გაემგზავრნენ საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ე. მ. კორნეევი, საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ე. ზინჩენკო, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნები ა. ი. მარფინი და პ. ს. ლუკიანოვი.

სადგურ გრაფსკაიაზე ამხანაგ მოლოტოვის შესახვედრად შეიკრიბნენ რკინიგზელები და ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი. ვ. მ. მოლოტოვმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა. მან შეკრებილთ მიულოცა ოლქის დაჯილდოება ლენინის ორდენით და უსურვა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებსა და კოლმეურნეებს ახალი შრომითი წარმატებანი.

სადგურ ტულუნოვოზე ვ. მ. მოლოტოვს გულთბილად შეხვდნენ სოციალისტური შრომის გმირი მერგოლური ა. მ. ჩერნიხი, პარტიის რაიკომის მდივანი ი. ი. კოროლიოვი, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. მ. ბოროდინი, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ტ. შიშოვი, პანინოს რაიონის ასობით კოლმეურნე და მექანიზატორი.

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვი იყო პერელეშინსკის ფხვნილი და რაფინადის შაქრის ახალ ქარხანაში, სადაც ესაუბრა ქარხნის ხელმძღვანელებსა და მუშებს, დაწვრილებით დაინტერესდა შაქრის წარმოების ტექნოლოგიით, მუშათა და სპეციალისტთა ხელფასით, საბინაო პირობებით.

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს განსაკუთრებით გულითადად და გულთბილად შეხვდნენ სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები.

არტელის მრავალდარგოვანი მეურნეობის დათვალიერების დროს ვ. მ. მოლოტოვი გულითადად ესაუბრა კოლმეურნეებს.

სარძეო-სასაქონლო ფერმის მუშაკთა წითელ კუთხეში მწველავებმა ვ. მ. მოლოტოვს უამბეს თავიანთი შრომის შესახებ.

კოლმეურნეობის მეურნეობის გაცნობის შემდეგ ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი ესტუმრა სოფლის მეურნეობის წარჩინებულ მშრომელს ა. მ. ჩერნიხს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებში

მიმდინარე წლის იანვრის დამდეგს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებმა დაიწყეს მუშაობა, რომ წინასწარ განიხილონ პროექტები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტისა 1957 წლისათვის, აგრეთვე ანგარიში 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ დეპუტატ ი. ხ. სენინის თავმჯდომარეობით და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ დეპუტატ ა. მ. საფრონოვის თავმჯდომარეობით 8 იანვარს მოაწყეს თავიანთი პლენარული სხდომები, განსაზღვრეს კომისიებში გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვის წესი და ვადები.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკეული ნაწილების დეტალური შესწავლისათვის თვითეულმა საბიუჯეტო კომისიამ შექმნა მთელი რიგი სპეციალური მოსამზადებელი კომისიები: სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითადი მაჩვენებლებისა; სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა; მრეწველობის ცალკეული დარგებისა; სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობისა; 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და სხვ.

მოსამზადებელი კომისიები ამოწმებენ საგეგმო და საფინანსო მაჩვენებლებს სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით, განიხილავენ მათს ვარაუდებს სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი განყოფილებების შესახებ, აგრეთვე სამინისტროების 1957 წლის შემოსავლისა და გასავლის ბალანსებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ.

ქვეკომისიების მუშაობაში, გარდა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების წევრებისა მონაწილეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც საბიუჯეტო კომისიების წევრები არ არიან. გარდა ამისა, საბიუჯეტო კომისიების მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს, სახელმწიფო და სპეციალური ბანკების წარმომადგენლები, აგრეთვე კონსულტანტები — სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

18 იანვარს კრემლში გაიმართა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომა. მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა. მოხსენება სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1955 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ამხ. ა. გ. ზვერევმა. მომხსენებლებმა დაწვრილებით დაასაბუთეს პროექტები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტისა 1957 წლისათვის და უპასუხეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მრავალ შეკითხვაზე.

მოსამზადებელი კომისიების მუშაობა გრძელდება. სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ ქვეკომისიებში მოხსენებებს აკეთებენ და ახსნა-განმარტებას იძლევიან სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ახალი შრომითი აქტივობით უპასუხებენ

★

განავითარებთ მეურნეობის ყველა დარგს

იმ დღეს საერთო კრება გვქონდა მოწვეული საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების საკითხებზე. მას დაემთხვა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვის გამოქვეყნება. კრებისათვის მომზადებული მოხსენება არსებითად შევცვალე. მიმართვამ ახალი, საინტერესო ფაქტების წინაშე დამაყენა; არაფერი მქონდა ნათქვამი გასული წლის ნაკლოვანებებზე, საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვის ზოგიერთ ხელისშემშლელ მიზეზზე.

მოხსენება გავამდიდრე საინტერესო ფაქტებით. კოლმეურნეებს გავაცანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვის შინაარსი. ამ მიმართვამ კოლმეურნეები აღაფრთოვანა.

გასული სამეურნეო წელი ცუდი მაჩვენებლებით როდი დავამთავრეთ, მაგრამ დიდი შესაძლებლობა გვქონდა უკეთესად წაგვემართა საქმე და უფრო მეტად გაგვეზარდა საკოლმეურნეო შემოსავალი. წინა წელთან შედარებით შარშან 40.000 მანეთით მეტი შემოსავალი მივიღეთ მარტო ნაადრევი პამიდორისა და კიტრის ნათესებიდან, მაგრამ სერიოზული ნაკლოვანებებიც იყო. ბრიგადამ, რომელსაც ს. ტიმჩენკო ხელმძღვანელობს, ვერ უზრუნველყო შემოსული კიტრისა და პამიდორის დროულად აღება, რის გამო დიდი ზარალი ნახა კოლმეურნეობამ.

ადრე ჩვენს კოლმეურნეობაში საფურაჟე კულტურად დარაიონებული იყო შვრია, რომელიც დაბალ მოსავალს იძლეოდა. მომავალში მის ნაცვლად უხვმოსავლიან ქერს დავთესავთ.

საგაზაფხულო სამუშაოებს ყოველმხრივ მომზადებული შევხვდებით, დროულად დავამთავრებთ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და ტრანსპორტის რემონტს, მოვიმარაგებთ ჰიბრიდული სიმინდის თესლს და 30 ჰექტარის ნაცვლად დავთესავთ 40 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 50 ცენტნერ სიმინდს მარცვლად. საგრძნობლად გავაუმჯობესებთ თამბაქოს დამუშავებას. ამ დღეებში შევუდგებით თამბაქოს თესლის თესვას. ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 18 ცენტნერი თამბაქო და ამით გადავაჭარბოთ საგეგმო დავალებას. გასულ სამეურნეო წელთან შედარებით საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე წველადობას გავზრდით 15 ლიტრით.

ჩვენს სამოქმედო პროგრამად გადაიქცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს მიმართვა. ყველა პირობას შევქმნით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მისაღებად და მკვეთრად გავადიდებთ მეცხოველეობის პროდუქტიულობას.

ზ. აბესაძე,
ლაგოდეხის რაიონის სოფელ სვობოდნოეს ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ოცდაათათასელი.

გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეთვრამეტე ბრიგადის აგიტატორი თინა ზაქარაია მუშებს უკითხავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას.
ფოტო შ. გოქაძისა.

მიღწეული ზღვარი არ არის

თელავი. (საკ. კორ.). კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში ფოსტალიონმა ახალი გაზეთები მიიტანა. გაზეთებში დაბეჭდილ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას კოლმეურნეები გულდასმით გაეცნენ და მსჯელობა ახალ წარმატებათა მოპოვების ღონისძიებაზე დაიწყეს.

— გასულ წელს, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ცხადაძემ, — მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოვიყვანეთ. ეს კარგია, მაგრამ ეს ზღვარი არ არის. პარტიისა და მთავრობის მიმართვა ახალ, დიდ მოვალეობას გვაკისრებს. წელს წარმატებანი უნდა გავამრავლოთ. ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი ხორბალი და 40 ცენტნერი სიმინდი — ასეთია ჩვენი პასუხი მიმართვაზე.

ბრიგადირმა ბ. დათიშვილმა ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი ხორბლის მოყვანა იკისრა.

სანიორის კოლმეურნეობა „პირველმა მაისმა" რაიონში ყველას აჯობა ყურძნის მოსავლიანობის საქმეში. საშუალოდ ჰექტარზე 107 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს, გეგმა კი 55 ცენტნერს ითვალისწინებდა. პარტიისა და მთავრობის მიმართვის პასუხად სანიორელებმა წელს ჰექტარზე საშუალოდ 110 ცენტნერი ყურძნის მიღება გადაწყვიტეს.

მიმდინარე სამეურნეო წელს წველადობის საქმეში კარგი წარმატება აქვს რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავს". აქ სამ თვეში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 231 ლიტრი რძე მიიღეს. ეს ოდენობა წინა წლის ამავე პერიოდში მოწველილზე 51 ლიტრით მეტია. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ძამუკაშვილმა თქვა:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა ახალი სასახელო წარმატებებისაკენ მოგვიწოდებს. წელს ყველა დარგი წინ უნდა წავწიოთ. აგროტექნიკის ზუსტად განხორციელებით ყველა კულტურის მოსავლიანობის გეგმას გადამეტებით შევასრულებთ.

პარტიის მოწოდებით

ჩვენი კოლმეურნეობის ფერმის ძროხის მწველავები დიდი მონდომებით იბრძვიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა განხორციელებისათვის. გასულ წელს ჩვენ დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ რძის წარმოების დავალება. პირადად მე ჩაბარებული მყავს 12 ძროხა, კარგი მოვლა-პატრონობით გავზარდე ამდენივე ჯანსაღი ხბო და თვითეულ ძროხაზე მივიღე 2.840 კილოგრამი რძე ნაცვლად 1.500 კილოგრამისა.

პარტიისა და მთავრობის მიმართვა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად აღგვაფრთოვანებს. ვიმუშავებთ ისე, როგორც გვასწავლის პარტია. ვალდებულებას ვკისრულობ თვითეულ ძროხაზე მიმდინარე სამეურნეო წელს მივიღო 3 ათასი კილოგრამი რძე.

ნაკისრ ვალდებულებას აუცილებლად გავანაღდებთ, მხოლოდ საჭირო იქნება კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ მეტი დახმარება გაგვიწიონ პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში.

ე. პირმისაშვილი,
დუშეთის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაცია ირანში გაემგზავრა

19 იანვარს დილით მოსკოვიდან თეირანში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. იგი ირანში წავიდა ირანის პარლამენტის მიწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები შ. მ. არუშანიანი, მ. ი. კუჭავა, ი. კ. აბდულაევი, მირზა ტურსუნ-ზადე, ნ. ფ. იგნატოვი, ათა მურადოვი, ი. მ. ფილიპოვი, პ. მ. ტარასოვი, ლ. ა. ტებენკოვი, ფ. ე. ტიტოვი, ა. მ. შკოლნიკოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ პ. პ. ლობანოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ტ. კომაროვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის მინისტრებმა ვ. გ. ბაკაევმა და მ. ა. ევსეენკომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ი. ა. ფედჩენკომ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგემ ა. პ. პავლოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილემ ვ. გ. ვისოტინმა.

დელეგაცია გააცილეს ირანის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ა. მასუდ ანსარიმ, სრულუფლებიანმა მინისტრმა, მრჩეველმა ა. გ. ჰაკიმიმ, საელჩოს მრჩეველმა ა. მომთაზმა, ირანის სამხედრო ატაშემ სსრ კავშირში ბრიგადის გენერალმა ი. ვალიმ.

ელჩმა ბ-ნმა ანსარიმ აეროდრომზე წამსვლელთ მიმართა მოკლე სიტყვით.

— მოხარული ვარ, — თქვა მან, — თქვენი გაფრენის წინ ერთხელ კიდევ მოგესალმოთ და სულით და გულით გისურვოთ კარგი ფრენა და ბედნიერი მგზავრობა ირანში.

ირანის პარლამენტი, ირანის საზოგადოებრიობა დიდი მოუთმენლობით მოგელით. თქვენ გამოხატავთ საბჭოთა ხალხის საუკეთესო გრძნობებს, კეთილ ნებას ირანელი ხალხისადმი. ირანელი ხალხი ღია გულით მიგიღებთ თქვენ. გზა მშვიდობისა!

საბჭოთა საპარლამენტო დელეგაციის მეთაურმა მ. პ. ტარასოვმა მადლობა გადაუხადა ირანის ელჩს კეთილი სიტყვებისათვის.

— ჩვენ თან წაგვყვება, — თქვა მან, — საბჭოთა ხალხის უაღრესად გულწრფელი გრძნობები ირანელი ხალხისადმი. (საკდესი).

* * *

თეირანი, 20 იანვარი. (საკდესი). ირანის პარლამენტის მოწვევით დღეს თეირანში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელშიც შედიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები შ. მ. არუშანიანი, მ. ი. კუჭავა, ი. კ. აბდულაევი, ნ. ფ. იგნატოვი, ათა მურადოვი, ი. მ. ფილიპოვი, პ. მ. ტარასოვი, ლ. ა. ტებენკოვი, ფ. ე. ტიტოვი და ა. მ. შკოლნიკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას მეჰრაბადის აეროდრომზე შეხვდნენ: სენატის თავმჯდომარე ტაგი-ზადე, სენატორები, მეჯლისის დეპუტატები, განათლების მინისტრი მეჰრანი და სხვა ოფიციალური პირები. დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში ნ. მ. პეგოვი და საელჩოს თანამშრომლები.

აეროდრომზე შეიკრიბნენ საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრებს თეირანის სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლე გოგონებმა ცოცხალი ყვავილები მიართვეს.

სენატის თავმჯდომარემ ტაგი-ზადემ და საბჭოთა საპარლამენტო დელეგაციის მეთაურმა მ. პ. ტარასოვმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ჯოუ ენ-ლაი ქაბულში ჩავიდა

ქაბული, 19 იანვარი. (საკდესი). ავღანეთის პრემიერ-მინისტრ მუჰამედ დაუდის მოწვევით დღეს ქაბულში ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე ხე ლუნი და მათი თანმხლები პირები.

ქაბულის აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ალი მუჰამედი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ ნაიმი, ავღანეთის მთავრობის წევრები, სსრ კავშირის ელჩი ქაბულში მ. ვ. დეგტიარი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი [illegible] ქაბულში აკრედიტებული მთელი რიგი დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები და სხვები.

აეროდრომზე მუჰამედ დაუდმა და ჯოუ ენ-ლაიმ მოკლე სიტყვები წარმოთქვეს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი ავღანეთში

პეკინი, 20 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს ცნობას დარბაზობის შესახებ, რომელიც ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა დაუდმა გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის პატივსაცემად.

წარმოთქვა რა სიტყვა, პრემიერ-მინისტრმა დაუდმა განაცხადა, რომ გასული საუკუნეების მანძილზე ავღანეთსა და ჩინეთს მჭიდრო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელსაც ავღანეთი ახორციელებს, მორალური საფუძველია სახელმწიფოებს შორის მშვიდობისა და ურთიერთგაგების იდეების განვითარებისათვის.

ბანდუნგის კონფერენციის პრინციპებს ჩვენ ჯეროვანი პატივისცემით ვეკიდებით, განაცხადა დაუდმა, და გვწამს, რომ, დავიცავთ რა ამ პრინციპებს, ჩვენ შევძლებთ უზრუნველვყოთ არა მარტო ამ კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების კეთილდღეობა. ეს პრინციპები დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე მთელი მსოფლიოს უშიშროების უზრუნველყოფისა და მთელი კაცობრიობის აყვავების საქმეში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ თავის სიტყვაში მაღალი შეფასება მისცა ავღანელი ხალხის გმირულ ბრძოლას კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ჯოუ ენ-ლაიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთ-ავღანეთის ურთიერთობის მთელი ისტორიის მანძილზე ჩინეთსა და ავღანეთს შორის არასოდეს არ ყოფილა ომი ან კონფლიქტი, არამედ იყო მხოლოდ მეგობრობა და თანაგრძნობა.

კოლონიალიზმის ხუნდებისაგან განთავისუფლების შემდეგ კეთილმეზობლური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის ახალ საფუძველზე მოეწყო და შემდგომ განვითარდა.

ჩინეთი, თქვა პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ, მუდამ ცდილობს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე. ჩინეთი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეგობრობას და თანამშრომლობას მეზობელ ქვეყნებთან. ჩვენ უდიდესი კმაყოფილებით ვადევნებთ თვალყურს ჩინეთსა და ავღანეთს შორის ურთიერთობის ჯანსაღ განვითარებას ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე, რაც ამჟამად ხდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება დანიის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას

კოპენჰაგენი, 20 იანვარი. (საკდესი). დანიის კომუნისტური პარტიის XIX საგანგებო ყრილობის გუშინდელ საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა საერთო პოლიტიკური დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 36 კაცმა.

დღეს გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკში" გამოქვეყნებულია შემდეგი ტექსტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშისა დანიის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისადმი:

„დანიის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უძღვნის დანიის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დელეგატებს და უსურვებს მათ წარმატებებს ყრილობის მუშაობაში.

დანიის კომუნისტური პარტია, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, დაუცხრომლად იბრძვის მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, დანიის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ დანიის კომუნისტური პარტია, იხელმძღვანელებს რა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, კიდევ უფრო განამტკიცებს თავის იდეურ დარაზმულობასა და ორგანიზაციულ ერთიანობას.

ვუსურვებთ დანიის კომუნისტურ პარტიას ახალ წარმატებებს დანიის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესებისათვის, დანიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი".

როგორც პრესა იუწყება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ მისალმებას ყრილობის დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი" აქვეყნებს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის, პოლონეთის, სირიისა და ლიბანის, ისლანდიის და ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური და მუშათა პარტიების მისასალმებელ დეპეშებს ყრილობისადმი.

ჩეხოსლოვაკიის რადიოს დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ოთხ დღეს იყო სტუმრად ჩეხოსლოვაკიის რადიოს დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ჩეხოსლოვაკიის რადიოს დირექტორი ფ. ნეჰასეკი, სლოვაკიის რადიოს დირექტორი ი. ვრაბეცი და პრაღის ტელევიზიის სტუდიის დირექტორი კ. კოგოუტი. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ეცნობა საბჭოთა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის გამოცდილებას და მოლაპარაკებას გამართავს რადიოსა და ტელევიზიის დარგში შეთანხმების დადების შესახებ.

ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსული სტუმრები გაეცნენ რადიომაუწყებლობის განვითარებას საქართველოში, ესაუბრნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს უფროსს ა. კ. კელენჯერიძეს. ისინი მიიღო რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ა. ლ. გუნიამ.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს თბილისისა და გორის ღირსშესანიშნაობანი. გორის რაიონში ისინი იყვნენ კოლმეურნეობა „წითელ თორტიზაში". ჩეხოსლოვაკიის რადიოს მუშაკები იყვნენ ქალაქ რუსთავში ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში. თბილისის „ქართული ფილმის" კინოსტუდიაში მათ უჩვენეს აქ შექმნილი მთელი რიგი სურათები.

დელეგაციის მეთაური ჩეხოსლოვაკიის რადიოს გენერალური დირექტორი ფ. ნეჰასეკი გამოვიდა თბილისის ტელევიზიით და მიესალმა ქალაქის მშრომელებს. ჩეხოსლოვაკიის რადიოს წარმომადგენლებმა თბილისის სატელევიზიო სტუდიას საჩუქრად გადასცეს ორი ფილმი, გადაღებული პრაღის სატელევიზიო სტუდიის მიერ.

დელეგაცია თბილისიდან ერევანში გაემგზავრა. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

მეცემენტეთა საწარმოო თათბირი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად იწონებენ რუსთავის მრავალრიცხოვან საწარმოთა კოლექტივები.

რამდენიმე დღის წინათ შედგა რუსთავის ცემენტის ქარხნის საფქვავი საამქროს მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო თათბირი, რომელმაც განიხილა საამქროს კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მეცემენტეთა ახალ ამოცანებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ა. ქირიამ, საფქვავი საამქროს უფროსმა ვ. აბაიშვილმა, ამავე საამქროს უფროსმა ოსტატმა ლ. სოსელიამ, მორიგე ზეინკალმა მ. ალასკაროვმა და სხვებმა. მეცემენტეებმა ამხილეს მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, გამოავლინეს ცემენტის წარმოების გამოუყენებელი რეზერვები, დასახეს შრომის ნაყოფიერებისა და დანადგართა საათობრივი წარმადობის გადიდების კონკრეტული გზები.

საფქვავი საამქრო ქარხნის წამყვანი უბანია, რამდენადაც საბოლოოდ აქ ხდება მზა პროდუქციის გამოშვება. ამასთან ცემენტის მიღებისათვის საჭირო კომპონენტების რაციონალურად შერჩევა, წმინდად დაფქვა, საფქვავი ბურთულებითა და ცილინდრებით წისქვილების ზომიერად დატვირთვა, რაც ამ საამქროში ხორციელდება, განაპირობებს მაღალი ხარისხის ცემენტის გამოშვებას.

შარშან საფქვავი საამქროს ახალგაზრდა კოლექტივმა ვერ უზრუნველყო რთული ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფილად დაუფლება. 1956 წელს საამქრომ საწარმოო გეგმა მხოლოდ ერთ თვეს — სექტემბერში შეასრულა.

1957 წელს საამქროს კოლექტივმა უკეთ დაიწყო მუშაობა. იანვრის მარტო 18 დღეში ქარხანამ გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 1.256 ტონა ცემენტი.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, — თქვა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ა. ქირიამ, — ამოცანად დაგვისახა მუშაობის ყველა უბანზე გავაძლიეროთ შრომითი აქტივობა, გავაუმჯობესოთ საბინაო მშენებლობა, ყველა ზომა მივიღოთ მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის. პარტიის მიზანდასახულობათა წარმატებით განხორციელებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ჩვენი ქარხნის კოლექტივმა. რუსთავში, და საერთოდ, ჩვენს რესპუბლიკაში, მშენებლობებზე სულ უფრო ფართო მასშტაბით იყენებენ რკინაბეტონის ნაკეთობებს. ბინათმშენებლობაში მკვიდრდება მსხვილი საკედლე ბლოკებით და პანელებით მშენებლობის პრაქტიკა. ყოველივე ამისათვის დიდძალი რაოდენობით არის საჭირო უმაღლესი ხარისხის ცემენტი.

— ჩვენ ჯერ კიდევ სრული შესაძლებლობით ვერ ვმუშაობთ, — განაცხადა საფქვავი საამქროს უფროსმა ვ. აბაიშვილმა, — რაც მრავალი შინაგანი და გარეშე მიზეზით არის გამოწვეული. სადახლოს კარიერიდან კირქვას საჭირო რაოდენობით ვერ ვიღებთ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, მრავალი დაპირების მიუხედავად, ვერ უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტით კირქვის საჭირო რაოდენობის გადაზიდვას კარიერიდან რკინიგზის სადგურამდე. ამჟამადაც ქარხანაში კირქვის მარაგი იწურება და კვლავ გეგმის შეუსრულებლობის საფრთხის წინაშე ვდგებით. გათვალისწინებული რაოდენობით არ გვაწვდიან აგრეთვე რკინიგზის ვაგონებს. სასილოსე კოშკები ცემენტით ივსება და მისი განტვირთვის მოლოდინში ვცდებით, ირღვევა წარმოების რიტმულობა.

მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საინტერესო კონკრეტული წინადადებანი წამოაყენეს წისქვილების მემანქანეებმა ა. დევსურაშვილმა, ტ. შარვაშიძემ და ს. ლუკინმა. მათ აღნიშნეს, რომ ნედლეულის საამქროს საშრობი განყოფილების მუშაკთა დაუდევრობით საფქვავი საამქროს წისქვილებს ხშირად სველ წიდას აწვდიან. ამგვარი წიდა ამცირებს წისქვილების საათობრივ წარმადობას. შეფერხებას ისიც იწვევს, რომ საამქრო უზრუნველყოფილი არ არის დაფქვისათვის საჭირო ყველა ზომის ლითონის ბურთულებით, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აკლიათ 60 მილიმეტრი დიამეტრის ბურთულები. ყველა წისქვილზე არ არის დადგმული ავტომატური სასწორები. ამის გამო ცვლებში მომუშავე მემანქანეებს ყოველთვის როდი აქვთ საშუალება გაიგონ ვინ რამდენი ცემენტი გამოუშვა.

რუსთავის ცემენტის ქარხანაში ბევრი ტექნიკური სიახლეა განხორციელებული. საფქვავ საამქროში მოწყობილია ცემენტის „მტვრის" დამჭერი ფილტრები. ანალოგიური ელექტროფილტრები გამართულია აგრეთვე კლინკერის საამქროში.

გასულ წელს ცემენტის ქარხნის რაციონალიზატორ-გამომგონებელთა ბიუროში შემოსული 52 რაციონალიზატორული წინადადებიდან წარმოებაში 41 დაინერგა, რითაც ნახევარ მილიონამდე მანეთის ეკონომია გაწიეს. მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება განახორციელა ქარხნის ინჟინერმა გ. ვესიოლიმ. მისი წინადადებით საფქვავი საამქროს წისქვილებიდან სასილოსე კოშკებამდე ცემენტის გამტარი 2 დამატებითი მილი გაიყვანეს. ამით აღმოიფხვრა კოშკში ცემენტის გადაცემის შეფერხება, რასაც წინათ ჰქონდა ადგილი, და ამაღლდა დანადგართა წარმადობა.

საფქვავი საამქროს კოლექტივმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ერთსულოვნად აღიარა თავის საბრძოლო პროგრამად. მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ძვირფასი თაოსნობის პასუხად საამქროში გადაწყვიტეს სასახელო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

საამქროს კოლექტივმა იკისრა: მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება შეასრულოს 25 მარტისათვის, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 8.000 ტონამდე ცემენტი, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 2 პროცენტით, წისქვილების საათობრივი წარმადობა გაზარდოს 10 პროცენტით, მოკლე ხანში აითვისოს რკინაბეტონის დეტალებისა და კონსტრუქციების დასამზადებლად საჭირო სპეციალური მარკის უმაღლესი ხარისხის ცემენტის წარმოება.

საწარმოო თათბირმა გადაწყვიტა ქარხნის და საამქროს ადმინისტრაციის დახმარებით ფართოდ განაზოგადოს თათბირის მონაწილეთა კრიტიკული შენიშვნები, წინადადებანი და აღმოფხვრას ნაკლოვანებანი.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

დ ღ ე ს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გორდა, რუსთაველის სახელობის — ფილოსოფიის დოქტორი, მარჯანიშვილის სახელობის — მკაცრი ქალიშვილები, გრიბოედოვის სახელობის — ხეები კვდებიან ზეზეულად, სომხური დრამის — დედინაცვალი, მუსიკალური კომედიის — დალი (ახალი სპექტაკლი), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ოქროს კვქოჩრიანები (აბონემენტი № 36, 7 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, თბილისი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ამერიკელი ძია, ოქტომბერი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის, ოფიცერთა სახლი — კარნავალის ღამე, სპარტაკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ტყუპთა ოინები, კოლხიდა — პეპო, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი — მუნა, ისანი — ზანგეზური, დიდუბე — ბატონი 420 (I და II სერია), კოლმეურნე — ჩრდილი გზაზე, კიროვის სახელობის პარკი — ძველი შტოლნის საიდუმლოება, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ვინ არის იგი?, კომუნარების ბაღი — ეს ასე იწყებოდა..., ქრონიკა — იარანგაში ანთია შუქი; ძველი ნაცნობები; ვერაგული თავდასხმა ეგვიპტეზე.

მეუღლე ნინო, შვილები ეთერ, რუსუდან, ძმები ივანე, ვალიკო, სიძეები დ. კიკაბიძე, თ. კობახიძე ოჯახებით იუწყებიან
ვალერიან ბათლომეს-ძე ვაჩიბერიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-I, 8 ს. გამოსვენება 24-I, 4 ს. მოსკოვის ქ. ადლერის შესახვევი № 8.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან
ალექსი ნასყიდას-ძე დათუაშვილის
გარდაცვალებას.

მამა ბათლომე, დედა ოლია, ძმა აკაკი გახოკიები ოჯახებით იუწყებიან
შუშანა ბათლომეს ასულ გახოკიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-I სოფელ ქოლობანში (აბაშის რ.).

მეუღლე ვლადიმერ, შვილი ლადუნი, დები ნადია, ნინო, სიძეები ა. ხოფერია, ნ. ჭანთარია ოჯახებით იუწყებიან
თამარ იუსტინეს ასულ ძოძუაშვილი-იაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-I, 8 ს. გამოსვენება 24-I, 3 ს. ილია ჭავჭავაძის ქ. № 12.

შვილი ანა, ალბერტ, შოთა ბადრიძეები იუწყებიან
ლევან იოსების-ძე ბაბაკიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-I, 8 ს. გამოსვენება 24-I, 3½ ს. უშანგი ჩხეიძის ქ. № 27.

მეუღლე მარო, შვილები გურამ, ვაჟა, ლალა, ძმები ირაკლი, ვასო, და ვერა, რძლები შურა, ელენე, მარგო ოჯახებით იუწყებიან
ალექსანდრე ვასილის-ძე დოგუზაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-I, 4 ს. ქ. გორში, გამოსვენება ბინიდან, საბჭოს ქ. № 107.

სახვითი ხელოვნების მუშაკთა არტელ „მხატვრის" კოლექტივი იუწყება გამოყენებითი ხელოვნების ცნობილი ოსტატის
ამბროსი ანდრიას-ძე ჯიქიას
გარდაცვალებას.

ყვარლის კულტურის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან
ეთერ ისაკის ასულ გონიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-I, 3 ს. ყვარელში.

უე 01319 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.